

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 17 ივნისის
დადგენილება № 476

სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების
მოდულიზაციის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ზოგიერთი არსებულისა და 2011-2012 სასწავლო წლიდან განსახორციელებელ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 21 თებერვლის №16 დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირების წესის“ თანახმად:

1. შევიდეს ცვლილებები: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა“ მოქმედ სასწავლო გეგმაში „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ისტორია და თეორიის“ ბლოკში: მოხდეს სათაურების კორექტირება რამდენიმე სილაბუსში მომხდარი თემატური ცვლილებების გამო, კერძოდ:
 - ა) **არსებული** – „თანამედროვე მიმართულებები მსოფლიო არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობა“. **კორექტირებული** – „თანამედროვე მიმართულებები მსოფლიო არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობაში-1“ და თანამედროვე მიმართულებები მსოფლიო არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობაში-2“;
 - ბ) **არსებული** – „შუა საუკუნეების ევროპული ქვეყნების არქიტექტურული ანსამბლები“. **კორექტირებული** – „შუა საუკუნეების ევროპის არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება“;
 - გ) **არსებული** – „XVIII ბოლოსა და XX-ის დასაწყისის ფუნდამენტალური ცვლილებები არქიტექტურაში და მოდერნიზმის ჩამოყალიბება“. **კორექტირებული** – „XVIII – XIX სს. ქართული არქიტექტურის ისტორია და თეორია“;
 - დ) „მე-19 და მე-20 საუკუნის საქართველოს არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის ისტორია“. **კორექტირებული** – „ქართული არქიტექტურა მ-XX საუკუნეში და დღეს“.

საფუძველი: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2011 წლის 7 ივნისის №8 ოქმიდან.

2. შევიდეს ცვლილებები: მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ნეომოდერნიზმის თეორია არქიტექტურაში“ მოქმედ სასწავლო გეგმაში განხორციელდეს სათაურების კორექტირება რამდენიმე სილაბუსში მომხდარი თემატური ცვლილებების გამო და ერთი საგანი შეიცვალოს მეორე საგნით, კერძოდ:

ა) **არსებული** – „ახალი მოდერნიზმის ჩამოყალიბება არქიტექტურაში, მისი განვითარება და დღევანდელი ეტაპი“. **კორექტირებული** – „ახალი მოდერნიზმი და რეგიონალიზმი – 1: საწყისი მოდერნიზმის კრიტიკა, კულტურათმორისი გადაკვეთები, პოსტ-სტრუქტურალიზმი“;

ბ) **არსებული** – „ახალი მოდერნიზმის ჩამოყალიბება არქიტექტურაში, მისი განვითარება და დღევანდელი ეტაპი“. **კორექტირებული** – „ახალი მოდერნიზმი და რეგიონალიზმი – 2: ნეომოდერნიზმის ურბანული შემადგენელი“;

გ) **არსებული** – „ახალი მოდერნიზმის ჩამოყალიბება არქიტექტურაში, მისი განვითარება და დღევანდელი ეტაპი“. **კორექტირებული** – „ახალი მოდერნიზმი და რეგიონალიზმი – 3: რეგიონალიზმის გლობალური პირობა“;

დ) **არსებული** – „ახალი მოდერნიზმის ჩამოყალიბება არქიტექტურაში, მისი განვითარება და დღევანდელი ეტაპი“. **კორექტირებული** – „ახალი მოდერნიზმი და რეგიონალიზმი – 4: სუსტი ჩანაფიქრის შემდეგ“;

ე) **არსებული** – „რეგიონალური სკოლები განვითარებულ და მესამე სამყაროში: ადგილობრივისა და გლობალურის დაპირისპირება და ერთობა“. **კორექტირებული** – „მიმდინარე არქიტექტურის ინსტრუმენტები – 1“;

ვ) **არსებული** – „რეგიონალური სკოლები განვითარებულ და მესამე სამყაროში: ადგილობრივისა და გლობალურის დაპირისპირება და ერთობა“. **კორექტირებული** – „მიმდინარე არქიტექტურის ინსტრუმენტები – 2“;

ზ) საგანი „ეროვნულობა XX საუკუნის ქართულ არქიტექტურაში“ შეიცვალოს საგნით „კოდები და ნიშნები არქიტექტურაში“.

საფუძველი: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2011 წლის 7 ივნისის №8 ოქმიდან.

3. შევიდეს ცვლილებები: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა და ქალაქთგეგმარება“ სასწავლო კურსში „საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურული პროექტირება“ I სემესტრში საათების განაწილება ხორციელდება შემდეგი სახით: 15 საათი ლექცია და 15 სთ. პრაქტიკული, მეორე სემესტრში კი 30 სთ. პრაქტიკული. სრული პროფესორის დასაბუთების თანახმად საათების განაწილებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები. კერძოდ, ორივე სემესტრში 15 სთ. ლექცია და 15 სთ. სემინარი.

საფუძველი: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათი და ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2011 წლის 10 მაისის №6 ოქმიდან.

დადგენილება ძალაში შევიდეს 2011-2012 სასწავლო წლიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე